პროექტი

საქართველოს კანონი

„ჯანრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „ჯანრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 47-48, 31/12/1997; სარეგისტრაციო კოდი: 470.000.000.05.001.000.304) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის მე-3 მუხლის „ტ^{3}'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ტ^{3}) სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი – ნორმატიული აქტით დადგენილი ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლები, ვადები და წესები;

2. კანონის 78-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 78.

სამინისტრო შეიმუშავებს და ამტკიცებს სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარს და მისი განხორციელებისათვის საჭირო სახელმწიფო სამედიცინო პროგრამას.

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებმა 6 თვის ვადაში განახორციელონ ღონისძიებები სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3.

1. ეს კანონი გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**